1

-203845349-
-07/10-
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტი
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭ
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო
"11" აპრილი 2002
N010240080310390002

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შექმნის, შემადგენლობის განსაზღვრისა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის I მოწვევის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დმტკიცების მიზნით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შემდეგი კომიტეტები და განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობა:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა - 9 წევრი;

ბ) აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა - 7 წევრი;

გ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა - 9 წევრი;

დ) საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა - 8 წევრი;

ე) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა - 7 წევრი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

2

№	კომიტეტის დასახელება	კომიტეტებში წევრთა რაოდენობა	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული აჭარა “	უმაღლესი საბჭოს წევრები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული ფრაქციებში
1.	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა	9	8	1
2.	აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა	7	6	1
3.	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა	9	8	1
4.	საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა	8	7	1
5.	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა	7	6	1

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე

ქ. ბათუმი,

2004 წლის 20 ივლისი

№ 02

№ 1